პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 179 (9647) | პარასკევი, 31 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის გამო

პეკინი, 30 ივლისი. (საკდესი). ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის გამო. მისალმებაში ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ გილოცავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავს.

50 წლის წინათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე ლენინიზმის გამარჯვება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთელ ისტორიაში. ლენინური პარტიის შექმნასა და განვითარებას მოჰყვა 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წარმოშობა, ყველა ქვეყანაში კომუნისტური პარტიების სწრაფი შექმნა და განვითარება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელოვანმა გამოცდილებამ სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში პირველად დაანახვა მთელ კაცობრიობას, რომ სოციალიზმი არა მარტო მშვენიერი ოცნებაა, არამედ მშვენიერი სინამდვილეც და ერთადერთი გამოსავალი მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურა ფაშისტური აგრესია, რამაც ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ვითარება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გახდა ყველა ქვეყნის ხალხების მძლავრი ხელმძღვანელი ცენტრი მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის, იმისა და რეაქციის წინააღმდეგ.

ჩინეთის კომუნისტური პარტია შეიქმნა და ვითარდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაგალითის მიხედვით. ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვება და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარება განუყოფელია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის მხარდაჭერისა და დახმარებისაგან. ჩინეთის კომუნისტურ პარტიას მშვენივრად ესმის საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის უმჭიდროესი ერთიანობისა და დარაზმულობის უდიდესი მნიშვნელობა როგორც საბჭოთა კავშირისა და ჩინეთისათვის, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის. ჩინეთის კომუნისტური პარტია ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა დიადი მეგობრობა დღითიდღე განმტკიცდება.

ვუსურვებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხალხს, რომლებსაც ხელმძღვანელობს ლენინისა და სტალინის დიადი საქმის ყველაზე საიმედო განმგაძღობი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

1953 წ. 30 ივლისი“.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა და საქონელბრუნვა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1953 წლის პირველ ნახევარში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

მრეწველობა

I

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების 1953 წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 100,5 პროცენტით, რესპუბლიკურისა — 103 პროცენტით.

1953 წლის პირველ ნახევარში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1952 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 11 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობისა—14 პროცენტით, რესპუბლიკურისა — 10 პროცენტით.

1953 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი მარგანეცის მადანი, ნავთობი, ცემენტი, შიფერი, დახერხილი ხე-ტყე, ქაღალდი, ბამბა, შალის ქსოვილები, წინდის ნაწარმი, ფეხსაცმელი, რბილი ტყავის საქონელი, პიანინოები და როიალები, სამშენებლო ლურსმანი, მცენარეული ზეთი, ხორცი, ძეხვეული, საკონდიტრო, მაკარონისა და პურ-ფუნთუშის ნაწარმი და სხვა სახეობათა სამრეწველო პროდუქცია, აგრეთვე გადაჭარბებით შესრულდა სამასალე მერქნისა და შეშის გამოზიდვის გეგმა.

II

საქართველოს სსრ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიერ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების 1953 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1953 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო	102
აქედან:	
რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა	102
რაიონული დაქვემდებარების მრეწველობა	104
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	105
სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	99,5
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	109
აქედან:	
რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა	112
რაიონული დაქვემდებარების მრეწველობა	107
საქართველოს სარეწაო საბჭო	103

მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა თუმცა მთლიანად შესრულდა, მაგრამ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრომ, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — რაიონული მრეწველობის ხაზით, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სარეწაო საბჭომ ვერ შეასრულეს ზოგიერთი სახეობის პროდუქციის ნატურით წარმოების ნახევარი წლის გეგმა.

III

1953 წლის პირველ ნახევარში უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება შეადგენს:

	1953 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
მარგანეცის სასაქონლო მადანი	105
ქვანახშირი	98
ნავთობი	118
ფოლადი	95
ელექტროენერგია	96
სატვირთო ავტომობილები	107
ლითონსაჭრელი ჩარხები	100,6
საქსოვი დაზგები	100
ცემენტი	104
შიფერი	103
აგური	89
აქედან: საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	106
კრამიტი	88
აქედან: საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	84
კირი	90
აქედან: საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	96
დახერხილი ხე-ტყე	124
აქედან: საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	103
სამასალე მერქნის გამოზიდვა	103
აქედან: საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	101
შეშის გამოზიდვა	148
აქედან: საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	109
ქაღალდი	101
ბამბა	103
ბამბის ქსოვილები	95
შალის ქსოვილები	102
აქედან: საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო	103
აბრეშუმის ქსოვილები	93
აქედან: საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო	93
ნედლი აბრეშუმი	91
წინდის ნაწარმი	103
ტრიკოტაჟის საცვლები	99,3
ზედა ტრიკოტაჟი	93
ფეხსაცმელი	104
აქედან: საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო	106
უხეში ტყავის საქონელი	93
აქედან: საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო	93
რბილი ტყავის საქონელი	102
აქედან: საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო	101
პიანინოები და როიალები	102
სამშენებლო ლურსმანი	104
თევზის ჭერა	82
ერბო-კარაქი	100,2
მარგარინის ნაწარმი	102
მცენარეული ზეთი (საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო)	111
ყველი	77
ხორცი	124
ძეხვეული (საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო)	120
კონსერვები	95
საკონდიტრო ნაწარმი (საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო)	105
მაკარონის ნაწარმი	107
პურ-ფუნთუშის ნაწარმი (საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო)	104
ჩაი—პირველადი დამუშავება	102
ჩაი—მზა დაფასოებული	99,2
კონიაკი	111
ყურძნის ღვინო (საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო)	103
შამპანური	78
მინერალური წყლები	108
პაპიროსი (საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო)	102
სიგარეტი (საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო)	102

IV

მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და ტრესტების უმრავლესობამ შეასრულა საერთო პროდუქციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის ნატურით გამოშვების ნახევარი წლის გეგმა.

საკავშირო მრეწველობა

1. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს:

	საერთო პროდუქციის გამოშვების 1953 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
საქართველოს კონსერვტრესტმა	108
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟმა“	107
ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ	106
შამპანური ღვინოების კომბინატმა	104
ფეხსაცმლის სახელმწიფო საკავშირო ფაბრიკამ	102
მარგარინის ქარხანამ	102
ლოკომოტივშემკეთებელმა ქარხანამ	102
სამსხმელო-მექანიკურმა ქარხანამ	102
ქარხანა „დაზგამ“	101
ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ	100,8

თუმცა ამ საწარმოებმა და ტრესტებმა შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, მაგრამ მათ

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის

დიადი კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის უურყევად განხორციელების შედეგად, მისი მუდმივი ზრუნვის მეოხებათ მძლავრად განვითარდა და აღმავლობის გზით მიდის წინ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა და კულტურა, განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. ყოველივე ამას ნათლად მოწმობს საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ“, რომელიც „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში ქვეყნდება.

ეს შედეგები მოწმობენ ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებითი ძალების მზარდ ძლიერებას, საქართველოს მშრომელთა დაუღალავ ბრძოლას კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მტკიცედ განხორციელებისათვის, მათ ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმის გზით.

როგორც საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს, 1953 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საქართველოს სოციალისტურმა მრეწველობამ.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1952 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 11 პროცენტით.

აღსანიშნავია, როგორც სასიხარულო მოვლენა, რომ საქართველოს მრეწველობამ 1953 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოუშვა დიდძალი მარგანეცის მადანი, ნავთობი, ცემენტი, შიფერი, დახერხილი ხე-ტყე, ქაღალდი, ბამბა, შალის ქსოვილები, წინდის ნაწარმი, ფეხსაცმელი, რბილი ტყავის საქონელი, პიანინოები და როიალები, სამშენებლო ლურსმანი, მცენარეული ზეთი, ხორცი, ძეხვეული, საკონდიტრო, მაკარონისა და პურ-ფუნთუშის ნაწარმი და სხვა სახეობათა სამრეწველო პროდუქცია.

ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტურმა მრეწველობამ შემდგომ წარმატებებს მიაღწია პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში. 1952 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაუმჯობესდა საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენება. იმავე პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მრეწველობის მუშათა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა თუმცა მთლიანად შეასრულა, მაგრამ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრომ — რაიონული მრეწველობის ხაზით, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სარეწაო საბჭომ ვერ შეასრულეს ზოგიერთი სახეობის პროდუქციის ნატურით წარმოების ნახევარი წლის გეგმა. ეს ფაქტი მოწმობს ამ საწარმოთა ხელმძღვანელებს მოუქნელ მუშაობას, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელ საქმიანობას. ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან განახორციელონ სერიოზული ღონისძიებანი, რათა თავი დააღწიონ ჩამორჩენილობას, ვადაზე და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფო დავალებანი.

საქართველოს მზარდ მრეწველობას ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ არა მარტო წარმატებით შეასრულოს გეგმიანი დავალებანი, არამედ კიდეც გადაჭარბოს მათ. საერთო საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ საწარმოთა ხელმძღვანელებმა უფრო ოპერატიულად იმუშაონ, სრული დატვირთვით გამოიყენონ მანქანა-დანადგარები და მექანიზმები, ფართოდ დანერგონ წარმოებაში რაციონალიზატორული წინადადებანი, დაუღალავად იბრძოლონ მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისა და ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებისათვის, შრომის ნაყოფიერების გაიდიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს აქტივობას, უფრო ფართოდ გაიაღონ სოციალისტური შეჯიბრება.

მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თავთავიანი და პარკოსანი კულტურების, მზესუმზირას, თამბაქოს, შაქრის ჭარხლისა და მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმა. მაგრამ, სამწუხაროდ, მთელ რიგ რაიონებს საზაფხულო კულტურების თესვის გეგმა არ შეუსრულებიათ, რის გამო რესპუბლიკური გეგმაც მთლიანად ვერ შესრულდა. მაშინ როცა ჩვენი სოფლის მეურნეობა აღჭურვილია ყველაზე მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და მექანიზმებით, ასეთი ჩამორჩენა შეუწყნარებელია.

შარშანდელთან შედარებით გადიდდა მტს-ების მიერ შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობა. საკოლმეურნეო მინდვრებში ამჟამად გაჩაღებულია მოსავლის აღება. კოლმეურნეებს შრომას უადვილებენ კომბაინთა ახალი აგრეგატები და სხვა მექანიზმები. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, ბაღებსა და ვენახებში შარშანდელზე უფრო ფართო მასშტაბით ხორციელდება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ამოცანა ის არის, რომ გონივრულად, სრული დატვირთვით გამოვიყენოთ პირველხარისხოვანი ტექნიკა, რომელსაც სამშობლო გვაწვდის, და მოვიპოვოთ შემდგომი წარმატებანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მრავალფეროვან დარგებში.

1953 წლის პირველი ნახევრის შედეგები მოწმობენ მნიშვნელოვან მიღწევებს რკინიგზის ტრანსპორტზე. საკმარისია ითქვას, რომ საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვამ 1952 წლის პირველი ნახევრის დონეს წელს 20 პროცენტით გადააჭარბა. მაგრამ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვის გეგმა მხოლოდ 96 პროცენტით შესრულდა. ეს გარემოება რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებისაგან მოითხოვს ძალების მობილიზაციას ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

ჩამორჩენილია კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმის შესრულებაც. რესპუბლიკის მშენებლებმა დავალება მხოლოდ 84 პროცენტით შეასრულეს. ამ ხარვეზის გამოსწორებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

სერიოზული ჩამორჩენაა საქონელბრუნვის დავალებათა შესრულების დარგშიც. როგორც სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს მთელი საცალო საქონელბრუნვის გეგმა რესპუბლიკაში 1953 წლის პირველ ნახევარში შესრულებულია 97 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩება სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელმაც გეგმა მხოლოდ 92 პროცენტით შეასრულა. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ვაჭრობის დარგის მუშაკები ჯერ კიდევ ვერ იყენებენ იმ უდიდეს შესაძლებლობებს, რაც მათ სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის აქვთ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ მშრომელების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის. ჩვენი მრეწველობა ყოველწლიურად ადიდებს მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მასების მთელი შემოქმედებითი ძალები უნდა დარაზმონ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და წარმატებით შესრულებისათვის, საქართველოს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის.

მ ო ს კ ო ვ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს

პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარევ!

ნება მიბოძეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი ხალხის სახელით გულითადი მადლობა გიძღვნათ თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა მთავრობას და მთელ საბჭოთა ხალხს, მხურვალე მოლოცვისათვის კორეელი ხალხისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ისტორიული გამარჯვების გამო კორეელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკელ იმპერიალისტების მიერ პროვოცირებულ სისხლისმღვრელ ომში.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კორეელი ხალხისადმი საბჭოთა ხალხის უდიდესი, უანგარო დახმარება და მხარდაჭერა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ჩვენი გამარჯვებისა სამი წლის მძიმე ომში ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ და საიმედო საწინდარია იმისა, რომ კორეელი ხალხი წარმატებით განახორციელებს დაზავებასთან დაკავშირებით მის წინაშე დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს — თავისი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების მიღწევას, ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის რაც შეიძლება მალე აღდგენას.

საბჭოთა მთავრობის მიერ გამოთქმული მზადყოფნა მთელი შესაძლო დახმარება აღმოუჩინოს კორეელ ხალხს, რომელიც ახლა შეუდგა თავისი სამშობლოს გაერთიანებასთან და მშვიდობიან მშენებლობასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტას, განგვიმტკიცებს რწმენას და აღგვაფრთოვანებს შემდგომი გამარჯვებებისათვის ჩვენს მუშაობაში.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი

ფხენიანი, 1953 წ. 29 ივლისი.

მ ო ს კ ო ვ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს

ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს

გიძღვნით თქვენ, პატივცემულო ამხანაგო მინისტრო, დიდ მადლობას თქვენი მხურვალე მოლოცვისათვის დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერისა და ამერიკელი შეიარაღებული აგრესორების მიერ პროვოცირებული კორეის ომის შეწყვეტის გამო.

დიდი საბჭოთა ხალხისა და სახალხო დემოკრატიის მომძე ქვეყნების ხალხების აქტიურმა დახმარებამ და სოლიდარობამ განამტკიცა კორეელი ხალხის ურყევი რწმენა თავის საბოლოო გამარჯვებაში და ჩვენი გამარჯვების საიმედო საწინდარი იყო.

დახმარება და მხარდაჭერა, რომელსაც დაზავებასთან დაკავშირებით გაგვიწევენ საბჭოთა ხალხი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები ჩვენს ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის მშვიდობიანი გზით მიღწევის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის და ომისშემდგომი დროის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, აღგვაფრთოვანებენ ახალი დიდი წარმატებებისათვის და განგვიმტკიცებენ გამარჯვების რწმენას.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ლი დონ გენი

ფხენიანი, 1953 წ. 29 ივლისი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

ვერ უზრუნველყვეს გეგმის შესრულება ზოგიერთი სახეობის პროდუქციის ან ასორტიმენტის მიხედვით.

2. საერთო პროდუქციისა და ნატურით პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შესრულეს:

	საერთო პროდუქციის გამოშვების 1953 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
ჩითახევჰესმა	99
გორის ბამბეულის კომბინატმა	99
სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა	99
ენგურის ქაღალდის კომბინატმა	98
საქართველოს არალითონური მადნეულის ტრესტმა	98
ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ	97
საავტომობილო ქარხანამ	97
ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხანამ	97
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა	84
ფეროშენადნობთა ქარხანამ	81
თბილისის კერამიკულმა კომბინატმა	69

რესპუბლიკური მრეწველობა

1. საერთო პროდუქციის გეგმა შეასრულეს:

	საერთო პროდუქციის გამოშვების 1953 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
სტალინირის სატყეო კომბინატმა	117
მარნეულბაზალტმა	113
თეძამის ტუფმა	110
ბორჯომის ავეჯის ფაბრიკამ	107
ცაიშის ცარცისა და კირის ქარხანამ	106
საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ტრესტმა	106
საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის ტრესტმა	105
საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტმა	104
წყალთბილის თაბაშირის ქარხანამ	100,7

თუმცა ამ საწარმოებმა და ტრესტებმა შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, მაგრამ მათ ვერ უზრუნველყვეს გეგმის შესრულება ზოგიერთი სახეობის პროდუქციის ან ასორტიმენტის მიხედვით.

2. საერთო პროდუქციისა და ნატურით პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულეს:

	საერთო პროდუქციის გამოშვების 1953 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
საქართველოს სამკერვალო მრეწველობის ტრესტმა	99,6
ცხაკაიას კირის ქარხანამ	99
მარელისის ავეჯის ფაბრიკამ	98
ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანამ	97
საქართველოს ჩაის ტრესტმა	94
მოწამეთის კირის ქარხანამ	90
საქართველოს ყველისა და ერბო-კარაქის მრეწველობის ტრესტმა	85
ხაშურის აგურის ქარხანამ	84
მეტეხის მშრალი წნეხვის აგურის ქარხანამ	81
ცეცხლგამძლე მასალათა ქარხანა „შროშამ“	81
მცხეთის ასანთის ფაბრიკამ	76
ზუგდიდის აგურ-კრამიტის ქარხანამ	68

სოფლის მეურნეობა

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თავთავიანი, პარკოსანი კულტურების, მზესუმზირას, თამბაქოს, შაქრის ჭარხლისა და მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმა; მაგრამ საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა მთლიანად არ შესრულებულა. გადაჭარბებით შესრულებულია საანეულო ხვნის გეგმა.

ნათესების დამუშავება და მოვლა წელს უკეთ წარმოებს, ვიდრე შარშან.

მინდვრებში გაჩაღებულია თავთავიანი კულტურების მოსავლის მასობრივი აღება.

ბუნებრივ სათიბებზე თივის აღებასა და სანილოსე მასის ჩადებაში ჩამორჩენაა.

შარშანდელთან შედარებით გადიდდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობა. შეკეთებულია შარშანდელზე მეტი ტრაქტორი და კომბაინი.

ჩაის პლანტაციებში ფართოდ გაჩაღდა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა.

ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, ბაღებსა და ვენახებში შარშანდელზე უფრო ფართო მასშტაბით ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ნარგავების მოვლის დარგში. ხეხილის ბაღების გაშენების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით.

კაპიტალური მშენებლობა

კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმა 1953 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის მშენებლობებმა შეასრულეს 84 პროცენტათ, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების მშენებლობებმა—84 პროცენტით და რესპუბლიკური დაქვემდებარების მშენებლობებმა—84 პროცენტით.

1953 წლის პირველ ნახევარში კაპიტალური სამუშაოები შესრულებულია 21 პროცენტით მეტი, ვიდრე 1952 წლის პირველ ნახევარში.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა 1953 წლის პირველი ნახევრის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა შეასრულეს:

	1953 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრომ	92
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ	79
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ	60
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ	101
სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ	74
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ	106
განათლების სამინისტრომ	35
კულტურის სამინისტრომ	103
საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის სამინისტრომ	75
კომუნალურა მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრომ	94
აქედან:	
ადგილობრივ საბჭოების საბინაო და წასტუმროების მშენებლობამ	86
კომუნალურმა მშენებლობამ	110
ადმინისტრაციული შენობების მშენებლობამ	34

ტრანსპორტი

ამიერკავკასიის რკინაგზამ 1953 წლის პირველი ნახევრის საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმა შეასრულა 100,4 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვის გეგმა—96 პროცენტით. 1952 წლის პირველ ნახევართან შედარებით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა გადაიდა 13 პროცენტით, აქედან ქვანახშირის დატვირთვა—22 პროცენტით, მარგანეცის მადნისა — 21 პროცენტით, ნავთობპროდუქტებისა — 2 პროცენტით. ცემენტის დატვირთვა შემცირდა 3 პროცენტით. საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვამ 1952 წლის პირველი ნახევრის დონეს გადააჭარბა 20 პროცენტით.

ტვირთების გადაზიდვის გეგმა საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის სამინისტრომ 1953 წლის პირველ ნახევარში გადაჭარბებით შეასრულა.

საქონელბრუნვა

მთელი საცალო საქონელბრუნვის გეგმა 1953 წლის პირველ ნახევარში შესრულებულია 97 პროცენტით, აქედან საცალო ვაჭრობის ქსელის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 97 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა—97 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა მთლიანად შეასრულეს 99,5 პროცენტით, აქედან 1953 წლის მეორე კვარტალის გეგმა — 103 პროცენტით. ნახევარი წლის გეგმა სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა შეასრულეს 100,7 პროცენტით, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა—99 პროცენტით. სამომხმარებლო კოოპერაციამ საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულა 92 პროცენტით, აქედან საცალო ვაჭრობის ქსელის საქონელბრუნვის გეგმა—91 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა—98 პროცენტით.

1953 წლის 1 აპრილიდან განხორციელებულმა სახელმწიფო საცალო ფასების ახალმა, სათვალავით მეექვსე, შემცირებამ ხელი შეუწყო მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვის შემდგომ გადიდებას. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით მნიშვნელოვნად გადიდდა ცალკეული სასურსათო და სამრეწველო საქონლის: ხორცის, ძეხვეულის, ერბო-კარაქის, შაქრის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების, ტანისამოსის, სატრიკოტაჟო ნაწარმისა და ტყავის ფეხსაცმლის გაყიდვა.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

რვა თვეში ათი თვის გეგმა

ახალციხე. („კომუნისტის“ კორ.). კვლავ შეუნელებელი ტემპით განაგრძობს მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლას ახალციხექვანახშირის პირველი შახტის კოლექტივი. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის შედეგად შახტის ყველა საექსპლოატაციო უბანი გეგმის გადამეტებით იძლევა ქვანახშირს. შახტმა ნახევარი წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა და მრეწველობას მისცა მრავალი ათასი ტონა ქვანახშირი.

შახტის წარმატების მთავარი საფუძველი ის არის, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოებს და საექსპლოატაციო უბანთა კოლექტივებისათვის ყოველთვის წინასწარ ამზადებენ სამუშაო ფრონტს. ივნისში სამთო-მოსამზადებელ სამუშაოებზე თვითეული მუშის საშუალო გამომუშავება გაიზარდა 18 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 11,2 პროცენტით. ამასთან ქვანახშირის ნაცრიანობა შემცირებულია 2,7 პროცენტით, ხოლო თვითღირებულება — 10 პროცენტით.

უბანმა, რომელსაც ნ. პრივალენკო ხელმძღვანელობს, ქვანახშირის ამოღების ივნისის გეგმა 146,9 პროცენტით შეასრულა, ხოლო ივლისის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით 600 ტონა ქვანახშირი ამოიღო.

მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან და მეშახტის დღის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ მნგრეველები, გამყვანები და გამმაგრებლები — ს. გალუსტიანი, ი. ხარჩილაძე, ა. შიბახჩიანი, მ. მანუკიანი, პ. ხარჩილაძე, ი. სმოროდინი, ვ. ხარაიშვილი, ვ. ლომიძე და სხვ.

პირველი შახტის კოლექტივმა იკისრა მეშახტეთა დღისათვის გაანაღდოს 10 თვის დავალება.

შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის

სტალინირი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფელ ძარწემის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ათობით ჰექტარი შაქრის ჭარხლის პლანტაცია აქვს. ძარწემელებს უყვართ ეს ძვირფასი კულტურა, კარგად დაეუფლნენ ჭარხლის მოვლის აგროწესებს, ბეჯითად შრომობენ და წარმატებასაც აღწევენ.

ძარწემელი კოლმეურნეები გამოვიდნენ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად და თავის მხრივ იკისრეს ურწყავი ფართობის ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 400 ცენტნერი ჭარხალი. როგორც წინა წლებში, ამჯერადაც გადიდებული ვალდებულება იკისრა მოწინავე მერგოლურმა ნადი გოგიძემ. ამ რგოლისათვის მოსავლელად მიჩენილი 2,16 ჰექტარი ფართობი სანიმუშოდ არის მოვლილი. აქ ებრძვიან იმისათვის, რომ ჰექტარზე 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღონ. თინა მეტრეველის რგოლი ჰექტარზე 450 ცენტნერი ჭარხლის მიღებას გეპირდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაწილი

საბჭოთა საზოგადოების მაორგანიზებელი და წარმმართველი ძალა

30 ივლისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი. კრებას დაესწრო 1.200-ზე მეტი კაცი.

მაყურებელთა დარბაზი საზეიმოდ არის მორთული. თეატრის იარუსებზე, დიდ ტილოებზე დაწერილია ლოზუნგები, რომლებზეც გამოხატულია საბჭოთა ხალხის სიყვარული თავისი მშობლიური სახელოვანი კომუნისტური პარტიისადმი. მძლავრ მოწოდებად გაისმის სიტყვები: „ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“.

სცენის სიღრმეში მოსჩანს კომუნისტური პარტიის შემქმნელისა და გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის და ლენინის საქმის განმგრძობის, მისი მოწაფის დიდი სტალინის პორტრეტები.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებას ხსნის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. სტურუა.

კრების მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ჩხიკვაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა პარტიის მეორე ყრილობისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის მებრძოლ რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. მან ილაპარაკა ნახევარი საუკუნის სახელოვანი გზის შესახებ, რომელიც განვლო დიდი ლენინის მიერ დაარსებულმა ჩვენი ქვეყნის კომუნისტურმა პარტიამ. ეს არის ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის გმირული ბრძოლის გზა, აღსავსე ძნელი განსაცდელითა და მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით.

50 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განმტკიცდა, გამოიწრთო, გახდა კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის წამყვანი ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, იგი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ავანგარდია, ნიმუშია ყველა მომძმე კომუნისტური და მუშათა პარტიისათვის. მთელი მსოფლიოს მშრომელებს იგი მიაჩნიათ ჩვენი ეპოქის გონებად, ღირსებად და სინდისად.

მომხსენებელმა ილაპარაკა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე, მსოფლიოს გარდამქმნელი მოძღვრების დიდ მნიშვნელობაზე, საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობაზე მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რომლის პოლიტიკა გამოხატავს მის ძირეულ ინტერესებს. საბჭოთა ხალხმა იცის, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს კომუნიზმის სრულ გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

გადადის რა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებზე, მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, როგორც მოწმობენ საქართველოში წლის პირველი ნახევრის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგები, ჩვენში დღემდე კიდევ გადაწყვეტილი არ არის ზოგიერთი გადაუდებელი სამეურნეო საკითხი, არის ჩამორჩენილი საწარმოები და მრეწველობის ცალკეული დარგებიც კი, უყურადღებოდ მიტოვებულია ზოგიერთი კოლმეურნეობა და მთელი სასოფლო-სამეურნეო რაიონები.

რესპუბლიკამ ვერ შეასრულა ფოლადის, ქვანახშირის, ელექტროენერგიის წარმოების ნახევარი წლის გეგმა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების საქმეში. მკვეთრად ჩამორჩება ადგილობრივი მრეწველობის ბევრი საწარმო. მნიშვნელოვანი დანაკლისია საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში.

— რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა მიზეზს, — ამბობს მომხსენებელი, — წარმოადგენს კომუნისტთა და მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის უყურადღებოდ მიტოვება, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთებთან ბრძოლის მოდუნება.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

ყველაზე მავნეა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ნაშთები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა თვითონ უშვებდა სერიოზულ დარღვევებსა და დამახინჯებებს ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში, განსაკუთრებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

აუცილებლად საჭიროა პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკაში აღმოვფხვრათ ისტორიაში პიროვნების როლის საკითხის არასწორი, არამარქსისტული გაშუქება, რაც გამოიხატება პიროვნების კულტის იდეალისტური თეორიის პროპაგანდით, თეორიისა, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის არსისათვის. პარტიული პროპაგანდა რესპუბლიკაში დიდხანს არათუ მიმართული არ იყო პიროვნების კულტის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, ბევრად უწყობდა ხელს მის გაზვიადებას.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ძირეულად უნდა გააუმჯობესონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდა, განუყრელად დაუკავშირონ იგი ჩვენი რესპუბლიკის წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანებს.

ლაპარაკობს რა სერიოზულ ჩავარდნებზე, რომლებიც დაუშვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ, მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება იმ უდიდეს ზიანზე, რომელიც მიაყენა ხალხის მტრის ბერიას ანტიმარქსისტულმა წიგნაკმა მთელ იდეოლოგიურ მუშაობას, კერძოდ საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარებას. ეს წიგნაკი ბოქავდა, აფერხებდა საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის მეცნიერულ გაშუქებას, შეიცავდა მთელ რიგ ყოვლად უხეშ შეცდომებს, წინააღმდეგობებსა და არევ-დარევას. ბერიას წიგნაკი განკერძოებულად, ცალმხრივად, რუსეთში რევოლუციური მოძრაობისაგან მოწყვეტით განიხილავდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ისტორიას. მასში ნაჩვენები არ არის რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გადამწყვეტი გავლენა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობასა და განვითარებაზე. ბერიას წიგნაკში, მაგალითად, სრულიად უგულებელყოფილია ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომ რსდმპ კავკასიის კავშირის 1904 წლის ნოემბრის კონფერენცია მოწვეული იყო ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და მითითებით.

საქართველოს კომპარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენელი ნაწილი, მისი ერთ-ერთი რაზმია. ამიტომ მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, დამოუკიდებელი, განსაკუთრებული ისტორია, როგორც მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ცალკეული მუშაკები ცდილობდნენ წარმოედგინათ ეს. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ამოცანაა შეისწავლოს და აჩვენოს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხაზისა და დირექტივების განსახორციელებლად პროლეტარული დიქტატურის დამყარებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, რომლის გადაწყვეტილება ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს მშრომელებმა, ისე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ახალი ძალით გვიჩვენა ჩვენი პარტიის მთლიანობა, მისი საბრძოლო მზადყოფნა — შეასრულოს მის წინაშე მდგარი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ე. ბურჭულაძემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა ამხ. დ. მჭედლიშვილმა, ამხ. დ. ალმაშინმა და საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ბარიგიანმა. ისინი უმთავრესად შეჩერდნენ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებსა და ამოცანებზე. ისინი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა მობილიზაცია ვუყოთ მშრომელთა შემოქმედებითს ძალებს პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეზერვების სრული გამოყენებისათვის საბრძოლველად.

აქტივის მონაწილენი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა განუწყვეტლივ გავაფართოვოთ პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, გაბედულად გავაჩაღოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გულისხმიერად მოვეპყრათ მასების ხმას, თანმიმდევრულად განვახორციელოთ პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები და პარტიული ცხოვრების ნორმები.

აქტივმა დიდი ყურადღება დაუთმო პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური მუშაობის გადაჭრით ამაღლების, ცალკეული იდეოლოგიური დამახინჯებებისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. აქტივის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით.

კრებაზე გამოსულნი ლაპარაკობდნენ, რომ ქართველი ხალხი გამსჭვალულია დიდი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით თავისი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხისადმი, რომელიც ქართველ ხალხს უწევდა და უწევს უდიდეს დახმარებას.

აქტივის მონაწილენი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პარტიის რიგების მონოლითობა ურყევია, რომ ვერავინ და ვერასოდეს ვერ შეარყევს პარტიისა და ხალხის ერთიანობას. საბჭოთა კავშირის მშრომელები მუდამ გაბედულად და მტკიცედ ივლიან მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ ნაჩვენები გზით.

აქტივის კრებამ ცხადყო, რომ თბილისისა და მთელი საქართველოს კომუნისტები და მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მზად არიან კვლავაც თავდადებით იბრძოლონ კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებისათვის, საყვარელი სამშობლოს აყვავებისა და მისი ძლიერების განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აქტივის კრება პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს, რომ საქართველოს დედაქალაქის კომუნისტები ღირსეულად შეასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველ დავალებას, უზრუნველყოფენ თბილისის ყველა მშრომელის აქტიურ მონაწილეობას პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. რეზოლუციაში დასახულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პარტიულ-ორგანიზაციული, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლება.

კრებას მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი.

რკინიგზელის დღის შესახვედრად

გურჯაანელ მეორთქლმავლეთა ნერკინი სანაინელებს

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). რკინიგზელის დღისათვის უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად ერთმანეთს ეჯიბრებიან სადგურ გურჯაანისა და სადგურ სანაინის (სომხეთის სსრ) რკინიგზელთა კოლექტივები.

ამას წინათ გურჯაანელმა მეორთქლმავლეებმა სანაინელ თანამოძმეებს წერილი გაუგზავნეს და შეატყობინეს, რომ ივნისში გეგმის გადამეტებით გარეცხვითი შეკეთებიდან გამოუშვეს 2 ორთქლმავალი და გასწიეს 33,5 ტონა საწვავის ეკონომია. მეორთქმავლეებმა შ. ყინდინაშვილმა, ვ. ნიკოლეიშვილმა, ს. გიორგობიანმა და ტ. ბეგლარაშვილმა იკისრეს რკინიგზელის დღის აღსანიშნავად წლის ბოლომდე ყოველთვიურად გასწიონ 6 ტონა საწვავის ეკონომია და უზრუნველყონ მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის ზუსტად დაცვა.

ქუთაის-ტყიბულის ხაზზე

ქუთაისელმა მეელმავლეებმა გაახშირეს მძიმე წონის მატარებელთა ტარება ქუთაის-ტყიბულის ხაზზე. ლენინელმა მემანქანემ კ. რიჟამაძემ ივლისის პირველ დეკადაში სამი მძიმე წონის მატარებლით 500 ტონა ტვირთი გადაზიდა ნორმის გადამეტებით. ამ რამდენიმე დღის წინათ რიჟამაძემ ქუთაისიდან ტყიბულში წაიყვანა მძიმე წონის მატარებელი და გეგმის გადამეტებით წაიღო 170 ტონა ტვირთი.

ი. ბუხაიძე.

საბჭოთა მთავრობის ნოტა

საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებისადმი ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ

ამა წლის 30 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საფრანგეთის საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის ნოტა ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ, რომლის ტექსტი ქვემოდ ქვეყნდება.

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ადასტურებს რა ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ საფრანგეთის მთავრობის ამა წლის 11 ივნისის ნოტის მიღებას, საჭიროდ თვლის განაცხადოს შემდეგი:

აღნიშნული ნოტიდან ჩანს, რომ საფრანგეთის მთავრობა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები კვლავ იცავენ მათ მიერ 1952 წლის 13 მარტს წამოყენებული ეგრეთწოდებული „შემოკლებული ხელშეკრულების“ პროექტს. ეს პროექტი კი, როგორც ამაზე უკვე არაერთხელ განუცხადებია საბჭოთა მთავრობას, არ ეთანხმება ოთხი სახელმწიფოს პოტსდამის გადაწყვეტილებებს ავსტრიის შესახებ, ეწინააღმდეგება საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იგლისისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების 1949 წლის ივნისის თათბირზე შეთანხმებულ დადგენილებებს ავსტრიის შესახებ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე, უხეშად აღღვევს საბჭოთა კავშირის ინტერესებს და ხელს ვერ შეუწყობს ნამდვილად დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის სახელმწიფოს აღდგენას. „შემოკლებული ხელშეკრულების“ ეს პროექტი საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა შემუშავეს სსრ კავშირის მონაწილეობის მიუღებლად და წამოაყენეს იგი ოთხ სახელმწიფოს შორის ძირითადად შეთანხმებული სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტის ნაცვლად, რომელიც ერთობლივად იყო მომზადებული ოთხი სახელმწიფოს მიერ ავსტრიის შესახებ აღნიშნულ ოთხმხრივ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

საბჭოთა მთავრობა თავის 1952 წლის 14 აგვისტოს, 27 სექტემბრის და ამა წლის 27 იანვრის ნოტებში, გამოხატავდა რა მზადყოფნას დაემთავრებინა ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტის მომზადება, საჭიროდ თვლიდა წინასწარი წესით გამოერკვია, მზად არიან თუ არა საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები მოხსნან თავიანთი წინადადება ავსტრიისათვის ეგრეთწოდებული „შემოკლებული ხელშეკრულების“ შესახებ. მაგრამ საბჭოთა მთავრობამ ვერ მიიღო საფრანგეთის მთავრობისაგან, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებისაგან, პასუხი „შემოკლებული ხელშეკრულების“ პროექტის განხილვიდან მოხსნაზე თანხმობის შესახებ.

განხილვიდან მოხსნა „შემოკლებული ხელშეკრულების“ პროექტისა, რომელიც შემუშავებულია სამი სახელმწიფოს მიერ სსრ კავშირის მონაწილეობის მიუღებლად და გათვალისწინებულია იმისათვის, რომ შეცვალოს ოთხ სახელმწიფოს შორის ძირითად მუხლებში შეთანხმებული პროექტი ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულებისა, შესაძლებლობას მისცემდა ოთხ სახელმწიფოს განეახლებინათ ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხის განხილვა, რათა მიეღწიათ შეთანხმებისათვის ამ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ მოუწესრიგებელ საკითხებზე.

ანალოგიური ნოტები გაეგზავნათ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებს“.

საბჭოთა მთავრობის ნოტა

ავსტრიის მთავრობისადმი საოკუპაციო ხარჯებისაგან ავსტრიის განთავისუფლების საკითხზე

ვენა, 30 ივლისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვმა ავსტრიის კანცლერს ბ-ნ რააბს გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის შემდეგი ნოტა:

„ავსტრიის მთავრობის მიერ გამოთქმულ სურვილთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მთავრობამ შესაძლოდ მიიჩნია, დაწყებული 1953 წლის 1 აგვისტოდან, იკისროს ავსტრიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების შენახვის მთელი ხარჯები და ამით გათავისუფლოს ავსტრიის სახელმწიფო ბიუჯეტი აღნიშნული ხარჯებისაგან“.

აგიტმხატვრული ბრიგადა მინდვრად

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებს უხვი მოსავლის აღებისათვის ამ დაძაბული მუშაობის დღეებში კარგ მომსახურებას უწევს რაიონის კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადა. ამ დღეებში ბრიგადა ესტუმრა ბრეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს და მათთვის მინდვრად გამართა კონცერტი.

კოლმეურნეების მოწონება დაიმსახურა აგიტმხატვრული ბრიგადის ძალებით შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა და მაიაკოვსკის ნაწარმოებების კითხვამ. კარგად შეასრულეს ქართული ცეკვები შ. არონაშვილმა და ი. მოშიაშვილმა.

აგიტმხატვრულმა ბრიგადამ ამ დღეებში ზღუდრის, ქვეინფლავის, ქვემო და ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობებშიც გამართა კონცერტები, რომლებსაც 1.000-ზე მეტი კაცი დაესწრო.

აგიტმხატვრულ ბრიგადას განზრახული აქვს მოსავლის აღების პერიოდში მომსახურება გაუწიოს რაიონის ყველა კოლმეურნეობას.

„რუსული გული“



ურღვევია საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით საბჭოთა კავშირის ხალხებმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვეს.

ათეულ ათასობით ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო ურთულესი სპეციალობანი ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში, აგრეთვე ლენინგრადში, სტალინგრადში, მაგნიტოგორსკში. ბევრი მათგანი შრომითს სასწაულებს ახდენს ჩვენი რესპუბლიკის მხსნელ საწარმოებში, სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტებში. თავიანთ მუშაობაში ამ ახალგაზრდებს ალაფრთოვანებს დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერა, საბჭოთა ადამიანებისადმი მისი დაუცხრომელი ზრუნვა, მისი მგზნებარე გული.

ამ კეთილშობილურ თემას მიუძღვნა პოემა ხუტა ბერულავამ თავისი ცნობილი პოემა „რუსული გული“. მთელი პოემის ლეიტმოტივად გაისმის პოეტის მიერ ოსტატურად და გულწრფელად ნათქვამი სტრიქონები:

„მწამს: რუსი კაცის პატარა გული
დედამიწაზე უფრო დიდია“.

პოემა „რუსული გული“ პირველად ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. შემდეგ იგი ითარგმნა რუსულ ენაზე და დაიბეჭდა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანოში ალმანახ „დრუჟბა ნაროდოვში“. პოემამ „რუსული გული“, როგორც მაღალიდეურმა და მაღალმხატვრულმა ნაწარმოებმა, სამართლიანად მიიპყრო საბჭოთა მკითხველის ყურადღება. აღნიშნული პოემა ამას წინათ რუსულ ენაზე გამოსცა საქართველოს სახელგამმა.

პოემის გარდა წიგნში შესულია ლექსები: „ლენინს“, „წითელ მოედანზე“, „ჩემი ძმობილი“, „ბალადა მედროშისა“, „ვანსუი“, და სხვ.

თარგმანები შესრულებულია ა. ადალისის, ვ. დერეკავინის, დ. სამოილოვის, ნ. გრებნევის, ა. მეეიროვის, ე. ელისეევის, ე. ნიკოლაევსკაიას, ი. სნეგოვას და სხვათა მიერ.

წიგნი კარგად არის გაფორმებული, ჩასმულია ლიდერინის ყდაში, შეიცავს 96 გვერდს და ღირს 3 მან. და 10 კაპ. წიგნის რედაქტორებია ირ. აბაშიძე და მ. ვაინშტეინი.

მკითხველები გვატყობინებენ

ნაგახეგარის სასელექციო სადგურში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ ნატახტარის სახელმწიფო სასელექციო სადგურში მოაწყო რაიონების მთავარი აგრონომებისა და მემინდვრეობის ბრიგადირების ექსკურსია.

სასელექციო სადგურის დირექტორი მ. წულუკიძე ექსკურსიის მონაწილეებს ესაუბრა საქართველოში სასელექციო საქმის მდგომარეობის და კერძოდ ნატახტარის სასელექციო სადგურის ისტორიისა და მუშაობის შესახებ.

სადგურის დათვალიერების დროს ექსკურსანტების ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო თავთავიანი კულტურების განყოფილებამ (გამგე გ. ლილუაშვილი). სადგურს ამ უკანასკნელ წლებში გამოყვანილი აქვს შემოდგომის ხორბლის 2 ჰიბრიდი — „გამარჯვება“ და „მოწინავე“. წელს ამ ჯიშების ნათესებიდან ჰექტარზე 40-45 ცენტნერს მოელიან. ექსკურსიის მონაწილე — ასპინძის რაიონის მთავარი აგრონომი ვ. სალაძე დაინტერესა პურის ნათესებმა, სადაც დაყენებული იყო სასუქების სხვადასხვა დოზების შეტანის ცდები. სადგურის აგროტექნიკის განყოფილების გამგემ ა. იაკობაშვილმა გააცხო მინერალური და ორგანული სასუქების ცალკეული დოზების გავლენა პურეულზე. ექსკურსანტებს გააცნეს საკვები განყოფილების, პარკოსნების და სიმინდის განყოფილების მუშაობაც. ბევრი რამ საინტერესო ნახეს სიონაღის, კაჭრეთის, საგარეჯოს, ხაშურის, ბოლნისისა და ასპინძის რაიონების წარმომადგენლებმა.

ექსკურსანტებმა დაათვალიერეს აგრეთვე ილია ჭავჭავაძის სახლი-მუზეუმი საგურამოში და მცხეთის ისტორიული ადგილები.

კ. ცაგარელი.

გარეუბნის რაიონში

ყოველწლიურად ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება თბილისის გარეუბნის რაიონის სოფლები. წელს მარტო დაბა ავჭალის კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულია დაიხარჯოს 250 ათასი მანეთი. მოკლე ხანში მოასფალტებულ იქნა 500 კვადრატული მეტრი ტროტუარი. ამჟამად მიმდინარეობს ქუჩების მოასფალტება ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანამდე და საკანალიზაციო სამუშაოები სადგურის მოედანზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა სტალინის სახელობის პარკი. კეთდება აუზი, რადიოქსელი, ფართოვდება ელექტროგანათება.

სოფელ ნორიოში 3 კილომეტრი მანძილიდან გაჰყავთ სასმელი წყალი. სამუშაოთა შესრულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეები.

სასმელი წყლით კოლმეურნეთა ოჯახების მომარაგების გაუმჯობესებისათვის დიდი სამუშაოებია განხორციელებული. ლისის სასოფლო საბჭოში დამთავრდა წყალსადენის მშენებლობა, კოლმეურნეთა ეზოებში მოწყობილია ონკანები.

ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა კოჯრის, კიკეთისა და წყნეთის კეთილმოწყობისათვის. მოეწყო სასპორტო მოედნები, გაკეთდა მისასვლელი გზები, დასასვენებელი პარკები და მნიშვნელოვნად გაფართოვდა რადიოქსელი. ათეულ ათასობით მანეთი დაიხარჯება მიმდინარე წელს სოფლების სოლანლუღის, მარტყოფის და ლილოს კეთილმოწყობისათვის.

იქ, სადაც მიმდინარეობდა ომი-ომოთვეა

რსდმპ II ყრილობა

ბრიუსელი, 29 ივლისი. (საკდესი). ორმოცდაათი წლის წინათ აქ, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, გაიხსნა რსდმპ მე-2 ყრილობა.

ბელგიის თანამედროვე წყაროები ბევრ ცნობას არ შეიცავენ ამ ყრილობის შესახებ. მეფის თვითმპყრობელობის საამებლად ბელგიის მაშინდელი მთავრობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ჩაეფუშა რუსეთის სოციალ-დემოკრატების საქმიანობა ემიგრაციაში, ჩაეშალა მათი ყრილობა, ხელი შეეშალა მის შესახებ ცნობების გავრცელებისათვის.

მაგრამ ბელგიელი ხალხი, მისი პროგრესული წრეები, ბელგიელი მუშები მზრუნველობით ინახავენ მოგონებებს პარტიის მეორე ყრილობის შესახებ, რომელმაც სახელოვანი ფურცელი ჩაწერა არა მარტო რუსეთის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. აქ ახსოვთ უბრალო ბინა იქსელის კომუნის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ახსოვთ კაფე „ოქროს მამალი“, სადაც შექმნილი ტრადიციით ახლაც იმართება დემოკრატიული ორგანიზაციების კრებები. ამ პატარა კაფეში იკრიბებოდნენ აგრეთვე რუსი სოციალ-დემოკრატები, აქ დადიოდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. რსდმპ ყრილობის ადგილის არჩევისას თავდაპირველად შეჩერდნენ „ოქროს მამალზე“. მაგრამ ყრილობის დელეგატების პირველი მეგობრული შეხვედრის შემდეგ, რომელიც იქ გაიმართა, იძულებული გახდნენ შეეცვალათ ეს გადაწყვეტილება, რადგან პოლიციამ გააძლიერა ამ შენობისათვის თვალყურის დევნება. არ მოხერხდა შეკრება აგრეთვე რუსი სოციალ-დემოკრატის ხოლსტოვის ბინაზე, რადგან სახლის პატრონმა არ დართო ნება მოეწყოთ კრებები მის სახლში და დამუქრა, რომ პოლიციას აცნობებდა.

ყრილობა შეიკრიბა სხვა შენობაში დიუტრონის მოედანზე, მარცვლეულის დიდ საწყობში. აქედან გაისმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძლავრი მოწოდება მუშათა კლასის მებრძოლი, რევოლუციური მარქსისტული პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შექმნის შესახებ. აქ ვლადიმერ ილიას-ძემ დასახა რუსეთის ძლევამოსილი რევოლუციის დიადი პერსპექტივები. ვ. ი. ლენინი გამოვიდა როგორც მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ერთგული მიმდევარი, უღმობელი ბრძოლა გააჩაღა ეკონომიზმის წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, პროლეტარიატის ,ალების ორგანიზაციისა და მჭიდროდ დარაზმვისათვის რევოლუციური მარქსიზმის დროშის გარშემო.

ბელგიის ხელისუფლებმა არ მოასვენეს რუსი სოციალ-დემოკრატები. ყრილობის დაწყების შემდეგ რამდენიმე დღეში პოლიციამ, უხეშად დაარღვია რა პოლიტიკური ემიგრანტებისათვის თავშესაფრის მიცემის ელემენტარული წესები, ბელგიიდან გააძევა ყრილობის დელეგატები. მათგან რამდენიმე კაცი დაუპატიმრეს.

ყრილობის დელეგატები გაემგზავრნენ ინგლისში და ყრილობამ მუშაობა განაგრძო ლონდონში.

ბელგიიდან გააძევეს რა რსდმპ II ყრილობის მონაწილენი, ბელგიის მაშინდელმა ხელისუფლებმა პოლიციის საიდუმლო არქივებში გადამალეს ყველა დოკუმენტი ამ ყრილობისა და მის მონაწილეთა შესახებ.

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). 50 წლის წინათ, 1903 წლის 30 ივლისიდან 23 აგვისტომდე, მიმდინარეობდა რსდმპ II ყრილობა. ეს ყრილობა ღირსშესანიშნავი მოვლენაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში, რუსეთისა და მთელი მსოფლიოს რევოლუციური მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ამ ყრილობაზე საფუძველი ჩაეყარა მუშათა კლასის რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას, ახალი ტიპის პარტიას.

თავდაპირველად ბრიუსელში გახსნილი ყრილობის დელეგატები, გამოეკენენ რა ბელგიის პოლიციის დევნას, ჩამოვიდნენ ლონდონში, სადაც განაგრძეს მუშაობა. აქ ყრილობის სხდომები მიმდინარეობდა უაღრესად საიდუმლოდ, რადგან ქალაქში დაძრწოდნენ შეფის ოხრანკისა და ინგლისის პოლიციის აგენტები. ის ამბავი, რომ ყრილობა ლონდონში მიმდინარეობდა, ვიწრო წრემ იცოდა. ამიტომ ამჟამად ძნელი გამოსარკვევია ზუსტი ადგილი, სადაც დელეგატები მუშაობდნენ. ფიქრობენ, რომ ყრილობა მიმდინარეობდა „ძმობის ეკლესიაში“, რომელიც სუტჰეიტ როდის ქუჩაზე, ჰეკნის რაიონში იყო.

ლონდონში ბევრი ადგილია დაკავშირებული ლენინის სახელთან. პირველად ლენინი ლონდონში ჩამოვიდა 1902 წლის აპრილში. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია დასახლდნენ ორ ოთახში № 30 სახლის პირველ სართულში ფინსბერის რაიონის ჰოლფორდსკვერის მიედანზე. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ეს სახლი დაინგრა. 1943 წლის 22 აპრილს ამ სახლის პირდაპირ დადგმულ იქნა ვლადიმერ ილიას-ძის ძეგლი.

ამ ადგილის მახლობლად არის ბარი „კრაუნ ენდ ვულპეკი“. ამ ბარის ერთ-ერთ ოთახში, რომელიც ზემო სართულშია, ლენინი დროდადრო აწყობდა თათბირს რუს ემიგრანტ მუშებთან.

ლონდონში მეორე საინტერესო ადგილია „მარქსის სახლი“ კლაკენუელ-გრინზე. აქ ცხრაასიანი წლების დამდეგს იყო ინგლისელი სოციალისტების სტამბა „ტვენტის სენჩური“. ამ საკმაოდ ძველ შენობაშია პატარა ოთახი, რომლის ფართობი 9 კვადრატულ მეტრს არ აღემატება, დაბალი დაქანებული ჭერით და ძალიან პატარა ფანჯრით. ამ ოთახში 1902 წელს ლენინი რედაქტორობდა „ისკრას“.

ამავე ოთახში, რომელიც სტამბის სამანქანო დარბაზიდან გამოყოფილი იყო მხოლოდ ფიცრის თხელი ტიხრით, იმ პერიოდში ჟურნალ „ჯასტისის“ გამოცემაზე მუშაობდა ცნობილი ინგლისელი სოციალ-დემოკრატი ჰარი კველჩი, რომელსაც ლენინი ინგლისის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე ენერგიულ და ერთგულ მუშაკს უწოდებდა. ნეკროლოგში კველჩის შესახებ ვლადიმერ ილიას-ძე იხსენებს, რომ ოთახში, სადაც ისინი ერთად მუშაობდნენ, პატარა წაწერი მაგიდის ზემოთ იყო წიგნის თარო და იდგა ერთი სკამი — მეორე სკამისათვის ადგილი აღარ იყო.

ლონდონში ჰაიგეიტის სასაფლაოზე დაკრძალულია კარლ მარქსი. 24 (11) აგვისტოს, რსდმპ II ყრილობის დამთავრების მეორე დღეს, ბოლშევიკი დელეგატები ლენინის მეთაურობით მივიდნენ სასაფლაოზე და პატივი სცეს მეცნიერული კომუნიზმის დიდი ფუძემდებლის ხსოვნას.

ლენინი ხშირად დადიოდა მუშების მასობრივ მიტინგებზე ჰაიდ-პარკში.

ლენინს უყვარდა მუშების კრებებზე ყოფნა, ხშირად თვითონ გამოდიოდა მუშათა აუდიტორიების წინაშე. 1903 წლის მარტში ვლადიმერ ილიას-ძემ უაიტჩაპელის მუშათა რაიონში ლონდონელი პროლეტარების წინაშე გააკეთა მოხსენება პარიზის კომუნის შესახებ.

კვირაში ორჯერ, შაბათობით და კვირაობით, ლენინი ამეცადინებდა რუსი ემიგრანტი მუშების წრის წევრებს.

ბევრს მუშაობდა ლენინი ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში, რომელშაც ამას წინათ აღნიშნა თავისი დაარსების 200 წლისთავი. აქ ლენინი არჩევდა მასალებს თავისი მეცნიერული შრომებისათვის. 1908 წელს ვლადიმერ ილიას-ძე ჩავიდა ლონდონში ერთადერთი მიზნით, რომ ემუშავნა ბრიტანეთის მუზეუმში მასალებზე თავისი განძოქმული წიგნისათვის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელშიც მან მარქსიზმის თეორიული საფუძვლები—დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი დაიცვა ყველა ჯურის რევიზიონისტებისაგან ფილოსოფიაში.

აღნიშნავს რა რსდმპ II ყრილობის 50 წლისთავს, გაზეთი „დეილი უორკერი“ აქვეყნებს ვრცელ სტატიას, მიძღვნილს ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი. „მარქსის სახლში“ წაკითხულ იქნება ლექცია და მოეწყობა გამოფენა, რომელიც მიეძღვნება ყრილობას და მის უდიდეს მნიშვნელობას მთელი მსოფლიოს რევოლუციური მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის.

„ლენინი ლიტერატურის შესახებ“

ვარშავა, 29 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის გამომცემლობამ „წიგნი და ცოდნა“ გამოუშვა მეოთხე გამოცემა კრებულისა „ლენინი ლიტერატურის შესახებ“. კრებული შეიცავს ვ. ი. ლენინის სტატიებს, მის აზრებსა და წერილებს ლიტერატურის შესახებ.

შენიშვნები საერთაშორისო თემაზე

1. ცოცხლად მარხავენ

ამერიკელი იმპერიალისტები გამალებული შეიარაღების პოლიტიკას ახორციელებენ: ეკონომიკა სამხედრო რელსებზეა გადაყვანილი; ყვითელი ბურჟუაზიული პრესის მწერლობები უსირცხვილოდ ქადაგებენ ყბადაღებულ ლოზუნგს — „ქვემეხები კარაქის ნაცვლად“, მილიტარიზებულია მეცნიერება, ხელოვნება, მწერლობა; შექმნილია ომის ფსიქოზი. მართალია, ყველაფერი ეს იწვევს ამერიკელი ხალხის ცხოვრების ისედაც ცუდი პირობების გაუარესებას: იზრდება უმუშევართა რიცხვი, განუწყვეტლივ მატულობს პირველი მოხმარების საგნების ფასები, ხელფასი უკეთეს შემთხვევაში ბლოკირებულია..., მაგრამ ხალხის ცხოვრების პირობები როდი აინტერესებთ ამერიკელ მაგნატებს. გამალებული შეიარაღება, ქვეყნის მილიტარიზაცია ბიზნესის საქმეს ემსახურება. მათთვის მთავარია ის, რომ ყოველწლიურად ზემოგების სახით მილიარდობით დოლარს იღებენ.

„სვით კოკა-კოლა ყველგან და ყოველთვის“, „ქალებო, გაუფრთხილდით თქვენს სილამაზეს, დალიეთ კოკა-კოლა“ — ასეთი სახის რეკლამებს შეხვდებით ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის, ჩიკაგოსა და სან-ფრანცისკოს, დეტროიტისა, და ბოსტონის ქუჩებში. კინო, რადიო, პრესა გეპატიჟებიან დალიოთ კოკა-კოლა. მართალია, საფრანგეთში კოკა-კოლას ირგვლივ დიდი სასკანდალო ამბავი მოხდა: ფრანგმა ექიმებმა დაამტკიცეს, რომ კოკა-კოლა ჯანმრთელობისათვის უაღრესად მავნე სასმელია, და მოითხოვეს საფრანგეთში მისი გავრცელების აკრძალვა, მაგრამ ადამიანის ჯანმრთელობაზე იქ არ ზრუნავენ: კოკა-კოლა ხომ ბიზნესია!

ბურჟუაზიულ პოლიტიკანებს ენაზე აკერიათ მაღალფარდოვანი სიტყვები მორალისა და ზნეობის შესახებ. ამავე დროს ამერიკა დაფარულია საროსკიპოების ქსელით. ოკეანესგაღმა „პატივშია“ არიან არა მარტო ნავთის, ქვანახშირის, ავტომობილის „მეფეები“, არამედ საროსკიპოების „მეფეებიც“. სიდუხჭირე და სიღატაკე აიძულებს ათეულ ათასობით ამერიკელ ქალს დაეშვას ძარს, ცხოვრების „ამერიკული წესი“ კი ნორმალურად მიიჩნევს, რომ ზნეობრივად დაცემულმა პირებმა ხელი მოითბონ ამ საქმით. ესეც ბიზნესია!

ბიზნესისათვის ბრძოლა სულ სხვადასხვა ფორმებს იღებს: გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში“ გამოქვეყნდა ამერიკული სინამდვილისათვის მეტად დამახასიათებელი ცნობა: „სამოქალაქო თავდაცვის ფედერალურმა ბიურომ“ კონგრესისაგან მოითხოვა ბიუჯეტიდან გამოჰყოს რამდენიმე მილიონი დოლარი ამერიკელი მოქალაქეებისათვის სუდარების მასობრივად დასამზადებლად. ავანტიურისტები ფედერალური ბიუროდან უტიფრად მოუწოდებენ მოქალაქეებს უარი თქვან კუბოებზე და დაკმაყოფილდნენ სუდარებით. ისინი „ამტკიცებენ“, რომ „ატომური თავდასხმის“ შემდეგ ყოველ ამერიკულ ქალაქს მოუხდება ორი დღის განმავლობაში საშუალოდ ორმოცი ათასი მიცვალებულის დაკრძალვა, ხოლო „სამოქალაქო თავდაცვის ფედერალური ბიურო“ გარანტიას ვერ იძლევა, რომ ასეთ შემთხვევაში შეძლებს მოსახლეობის უზრუნველყოფას კუბოებით. სამაგიეროდ, ცოცხალი ადამიანების ეს უცნაური მესაფლავეები გარკვეულ „მზრუნველობას“ იჩენენ მოსახლეობისათვის: ამუშავებენ ახალი სასაფლაოების მშენებლობის, ბაღებისა და პარკების დროებით სასაფლაოებად გარდაქმნის გეგმებს.

რა მიზანს ისახავენ ამერიკელი აგრესორები, როცა ასეთ „პრობლემებს“ აყენებენ? ჯერ-ერთი, ისინი ცდილობენ ამით კიდევ უფრო გააღვივონ ომის ფსიქოზი და ამერიკელ მოქალაქეებს ჩაუნერგონ რწმენა, რომ მათ ემუქრება „ატომური თავდასხმა“ (თუმცა ყოველი ჭკუათმყოფელი ადამიანისათვის ნათელია, რომ ამერიკას არავინ არ ემუქრება!) და, მეორეც, ასეთი სენსაციური პროპაგანდით გააბრიყვონ მილიონობით ობივატელი — სიცოცხლეშივე მოიმარაგონ სუდარები, მოამზადონ ისინი საიქიოს გასამგზავრებლად.

ბიზნესისათვის ადამიანებს ცოცხლად მარხავენ!

2. ცხენის თვალით

ამერიკელმა ამპერიალისტებმა, რომლებიც თავიანთ აგრესიულ გეგმებში დიდ როლს ანიჭებენ საბერძნეთს, მოისყიდეს საბერძნეთის მმართველი წრეები, მაგრამ მათ ვერ გატეხეს ბერძენი ხალხის უდრეკი მისწრაფება თავისუფლებისადმი, დამოუკიდებლობისადმი. ამერიკელ დამპყრობთა ბერძენი ლაქიები სისხლში ახრჩობენ ბერძენ პატრიოტთა მოძრაობას, სპობენ თავისუფალი აზრის ყოვლგვარ გამოვლინებას. საბერძნეთი ტანჯვისა და წამების ქვეყანაა, სადაც ადამიანებს აკრძალული აქვთ იაზროვნონ. იგი დაფარულია საყრობილეებით: იუარა, მაკრონისოსი, ავეროფი და მრავალი სხვა ის დაწყევლილი ადგილებია, სადაც ათასობით პატიოსანი ბერძენი აწამეს, სადაც თავის სამშობლოს ათასობით ერთგულ შვილს განუმზადებენ სიკვდილს. ბერძენმა ფაშისტებმა თავიანთი ამერიკელი ბატონების ბრძანებით მოკლეს ნიკოს ბელოიანისი, თავისუფალი, დამოუკიდებელი, ბედნიერი საბერძნეთისათვის მამაცი მებრძოლი.

საბერძნეთში, ისევე როგორც სხვა მარშალიზებულ ქვეყნებში, ამერიკელი ოკუპანტების სახელთან დაკავშირებულია საომარი მზადება, ტერორი, ეკონომიური კრიზისები, უმუშევრობა, სიღატაკე, რეპრესიები დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ. ოკეანესგაღმელი იმპერიალისტები ვარაუდობენ ბერძენი ხალხი გამოიყენონ როგორც საზარბაზნე ხორცი იმ აგრესიულ ომში, რომელსაც ისინი გამალებით ამზადებენ. მარშალმა, როცა იგი ამერიკის სამხედრო მინისტრი იყო, ციინიკურად განაცხადა: „ამერიკელები მისცემენ საბერძნეთს დოლარებს, ხოლო საბერძნეთი — სისხლს“. ამერიკის კომერსანტ-პოლიტიკოსებს, რომლებსაც ენარი არ შესწევთ გაერკვნენ პოლიტიკურ ვითარებაში, ვერ გაუგიათ, რომ, თუ მათ მიერ მოსყიდული ერთი მუჭა ბერძენი კვისლინგები მზად არიან დოლარებზე გაჰყიდონ ბერძენ პატრიოტთა სისხლი, სამაგიეროდ ბერძენ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საბოლოო გამარჯვებამდე განაგრძოს თავისი წმიდა ბრძოლა სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და ბედნიერი მომავლისათვის. „ამნისტია“, „გაათავისუფლეთ ჩვენი შვილები საპყრობილეებიდან“, „ჩვენ მშვიდობა გვინდა“— მძლავრად გაისმის ბერძენი ხალხის ხმა.

ამრიგად, საპყრობილე, საკონცენტრაციო ბანაკები, სახრჩობელები... ტერორი, პოლიციელთა თარეში, ბერძენ პატრიოტთა წამება, ბერძენი ხალხის გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის — აი რა არის დამახასიათებელი თანამედროვე საბერძნეთისათვის, რომელიც ერთ დიდ საპყრობილეს წარმოადგენს.

სწორედ ასეთი საბერძნეთი ინახულა ამას წინათ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა დალესმა, რომელმაც უტიფრად განაცხადა: საბერძნეთი „...თავისუფალ ერთა თანასაზოგადოების ერთი-ერთი დასაყრდენიაო“. ამბობენ, ცხენი ჩვეულებრივ ბეციაო. ცხენის თვალით შეუხედავს ამერიკელ მინისტრს საბერძნეთისათვის!

3. ავაზაკები შეესევენ

ჰუნებივით შეესევენ ამერიკელი განგსტერები ევროპის მარშალიზებულ ქვეყნებს. ოკუპირებულია საფრანგეთი, ინგლისი, იტალია... სენისა და ტემზის ნაპირებზე, ლონდონისა და პარიზის, რომისა და ბრიუსელის, ჰაგისა და კოპენჰაგენის ქუჩებში ათასობით ამერიკელი ოკუპანტი თავხედობს, ტერორის ქვეშ აყენებს მშვიდობიან მოსახლეობას, ძარცვავს მაღაზიებს, შეურაცხყოფს ქალებს, ფეხქვეშ თელავს ადგილობრივი მოსახლეობის ჩვეულებებსა და ეროვნულ გრძნობებს.

საფრანგეთში ამერიკის ასობით ბაზაა, რომლებიც ე. წ. „პატარა ამერიკას“ შეადგენენ. ამერიკული პრესა პარიზს ცინიკურად „პატარა ვაშინგტონს“ უწოდებს. ამერიკის საელჩო პარიზში, სამხედრო პირების ჩაუთვლელად, ათასზე მეტ კაცს ითვლის. ამერიკის მთავრობის ჩვიდმეტამდე სააგენტოა წარმოდგენილი ამ ქალაქში. სააგენტოებს ათასხუთასამდე ამერიკელი და ათასორასამდე ფრანგი ემსახურება. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ პარიზსა და მას გარეუბნებში სამასამდე ამერიკული საოკუპაციო პუნქტი არსებობდა. მართალია, საფრანგეთის ბაღებისა და პარკების შესასვლელთან ვერ ნახავთ წარწერას — „შესვლა ფრანგებისა და ძაღლებისათვის აკრძალულია“, მაგრამ ფაქტიურად საქმე აქეთკენ მიდის. ათასობით პატიოსანი ფრანგი გახდა ამერიკელი ოკუპანტების ძალადობისა და თავხედობის მსხვერპლი.

ამერიკელი ოკუპანტები თარეშობენ ინგლისშიც. ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“ იძულებულია აღიაროს: „ინგლისელს უხდება ამერიკის პოლიციას სთხოვოს ინგლისის ტერიტორიაზე გადანაცვლების ნებართვა“. ამერიკელთა აღვირახსნილობა იქამდე მიდის, რომ ისინი ინგლისელებს თვლიან „ბინძურ, ზარმაც... უვარგის ადამიანებად“. ქვეყნის ბატონ-პატრონად თვლიან თავს ამერიკის სამხედრო ხელისუფალნი თვით ინგლისშიც.

„ჩვენი ევროპული კოლონია № 1“ — ასე უწოდებენ ამერიკის მმართველი წრეები დასავლეთ გერმანიას, რომელსაც ისინი სულ უფრო და უფრო აიარაღებენ, ამზადებენ ახალი ომისათვის. ამერიკელი ოკუპანტები დასავლეთ გერმანიაში აღადგენენ ყოფილ ფაშისტურ ორგანიზაციებს, მფარველობენ ჰიტლერელ გენ

ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხისათვის

ამა წლის 29 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრმა გ. მ. პუშკინმა ავსტრიის ელჩს სსრ კავშირში ბ-ნ ნ. ბიშოფს გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა, რომლის ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება.

„ავსტრიის მთავრობის ამა წლის 30 ივნისის სამახსოვრო ბარათში ნათქვამია:

„ფედერალურ მთავრობას მისაღებად მიაჩნია სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ დიპლომატიური მოლაპარაკების გზა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა, და იმედი აქვს, რომ ამ შემოთავაზებული გზით წარმოებულ აზრთა ყოველმხრივ გაცვლას მოჰყვება სახელმწიფო ხელშეკრულების სწრაფად დადება“.

ავსტრიის მთავრობის ამ განცხადებიდან ჩანს, რომ იგი დადებითად ეპყრობა საბჭოთა მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხი განხილულ იქნას სათანადო დიპლომატიური მოლაპარაკების გზით.

მაგრამ ამასთან ავსტრიის მთავრობას არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რატომ ფერხდება ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების განხილვა, დაწყებული 1952 წლის გაზაფხულიდან. ამავე დროს, აღნიშნული შეფერხებისათვის პასუხისმგებლობა ავსტრიის მთავრობასაც ეკისრება.

პოტსდამის 1945 წლის კონფერენციის და ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების პარიზის 1949 წლის ივნისის სესიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შეთანხმებული იყო, გარდა რამდენიმე ნაკლებად არსებითი მუხლისა, ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტი. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებმა, მიუხედავად ოთხ სახელმწიფოს შორის წინათ მიღწეული შეთანხმებისა ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტის შესახებ, 1952 წლის მარტში წამოაყენეს ეგრეთწოდებული „შემოკლებული ხელშეკრულება“, რომელიც შემუშავებულ იქნა საბჭოთა კავშირის მონაწილეობის მიუღებლად და რომელიც, როგორც ამის შესახებ არაერთხელ განუცხადებია საბჭოთა მთავრობას, სამსახურს ვერ გაუწევს ავსტრიის საკითხის მოწესრიგების საქმეს.

„შემოკლებული ხელშეკრულება“ უწინარეს ყოვლისა ეწინააღმდეგება მოსკოვის 1943 წლის დეკლარაციას ავსტრიის შესახებ, უგულებელყოფს მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან დებულებებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ავსტრიელი ხალხის დემოკრატიულ უფლებებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა, საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის შეთანხმებული ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების მუხლების ტექსტს, ხელშეკრულებისა, რომელიც თავის დროზე ცნო ავსტრიის მთავრობამაც. მაგალითად, „შემოკლებულ ხელშეკრულებაში“ არ არის ამ პროექტის წინათ შეთანხმებული მე-7 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ყველა ღონისძიების მიღებას, რაც საჭიროა „იმის უზრუნველსაყოფად, რომ ავსტრიის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა, სარგებლობდეს ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით, მათ შორის სიტყვის, პრესისა და გამოცემათა, რელიგიური კულტის, პოლიტიკური რწმენისა და საჯაარო კრებების თავისუფლებით“. „შემოკლებულ ხელშეკრულებაში“ არ არის აგრეთვე ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტის წინათ შეთანხმებული მე-8 მუხლი, რომელიც აწესებს, რომ „ავსტრიას ეყოლება დემოკრატიული მთავრობა, რომელიც არჩეულ უნდა იქნას ყველა მოქალაქისათვის გარანტირებული საყოველთაო თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, აგრეთვე იმ უფლების საფუძველზე, რომ არჩეულ იქნან სახელმწიფო თანამდებობაზე განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა თუ პოლიტიკური რწმენისა“. „შემოკლებულ ხელშეკრულებაში“ არ არის აგრეთვე ავსტრიის მთავრობის განცხადებანი უარყოფენ ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტს, რომელიც შეთანხმებულია ოთხ სახელმწიფოს შორის ძირითად მუხლებში 1949 წელს, და რომელსაც 1952 წლის გაზაფხულამდე თვით ავსტრიის მთავრობაც ცნობდა.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ, ცდილობს რა შეცვალოს ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების ძირითადად შეთანხმებული პროექტი ეგრეთწოდებული „შემოკლებული ხელშეკრულებით“, რომელიც შემუშავებულია სამი სახელმწიფოს მიერ სსრ კავშირის მონაწილეობის მიუღებლად და საბჭოთა კავშირის ინტერესების პირდაპირი დარღვევით, ავსტრიის მთავრობას, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად, ეკისრება პასუხისმგებლობა ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების შეფერხებისათვის.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობა მადლიერი იქნებოდა ავსტრიის მთავრობისა ცნობისათვის იმის შესახებ, კვლავ უპერს თუ არა მხარს იგი „შემოკლებული ხელშეკრულების“ პროექტს და ძალაში რჩება თუ არა ავსტრიის მთავრობის განცხადება მის 1952 წლის 31 ივლისის მემორანდუმში იმის შესახებ, რომ შემდგომი მოლაპარაკება შეუძლებელია სახელმწიფო ხელშეკრულების წინათ ძირითადად შეთანხმებული პროექტის ბაზაზე. ავსტრიის მთავრობის ცნობას აღნიშნულ საკითხზე არ შეიძლება არ ჰქონდეს მნიშვნელობა ავსტრიის ხელშეკრულების შესახებ შემდგომი მოლაპარაკებისათვის.

თავისთავად იგულისხმება, რომ „შემოკლებული ხელშეკრულების“ პროექტის განხილვიდან მოხსნა საშუალებას მისცემდა ოთხ სახელმწიფოს განეახლებინათ ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხის განხილვა, რათა მიეღწიათ შეთანხმებისათვის მოუწესრიგებელ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულების დადებასთან“.

ბ-ნ ბიშოფმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის ამ ნოტის შინაარსს გადასცემს ავსტრიის მთავრობას.

„მშვიდობისათვის ამერიკელთა ლაშქრობის“ ორგანიზაციის წერილი ეიზენჰაუერისადმი

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. (საკდესი). ორგანიზაცია „მშვიდობისათვის ამერიკელთა ლაშქრობამ“ პრეზიდენტ ეიზენჰაუერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია: „მივესალმებით კორეაში დაზავებას, როგორც საბჭოთა ურთიერთობაში ძალის გამოყენების მეთოდზე მოლაპარაკების მეთოდის გამარჯვებას. დაზავება კონკრეტულად დასტურებს იმას, რომ მშვიდობიანი მოწესრიგება შესაძლებელია მოლაპარაკების გზით... ამჟამად მოგიწოდებთ მიაღწიოთ მშვიდობიან მოწესრიგებას პირადი მოლაპარაკების გზით, რათა შეწყდეს ცივი ომი. მოგიწოდებთ აგრეთვე დაუყოვნებლივ გადადგათ ნაბიჯი, რათა ამერიკის შეერთებული შტატების რესურსები გამოყენებულ იქნას ამერიკელი და სხვა ხალხების მშვიდობიან მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“.

„მშვიდობისათვის მებრძოლი ხალხების დიდი გამარჯვება“

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმართვა

ვენა, 29 ივლისი. (საკდესი). კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების ხელის მოწერასთან დაკავშირებით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა მიმართვა მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

კორეაში ხელმოწერილი დაზავების შეთანხმება მკაფიოდ მოწმობს, რომ ხალხებს შეუძლიათ გამარჯვება მოიპოვონ მშვიდობისათვის ბრძოლაში. ყველა ქვეყნის მშრომელები მიესალმებიან კორეელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძოდა ამერიკელი ინტერვენტების წინააღმდეგ და საშინელი ტანჯვა განიცადა, იცავდა რა მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ისინი მიესალმებიან გმირ ჩინელ სახალხო მოხალისეებს, რომლებმაც საუკუნოდ განამტკიცეს კორეელ და ჩინელ ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობის ურღვევი კავშირი.

ისევე როგორც დედამიწის ყველა მშრომელს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას მიაჩნია, რომ კორეაში დროებითი ზავის დადება ხალხთა დიდი გამარჯვებაა, რომელსაც შეუძლია გზა გაუხსნას მშვიდობისათვის მებრძოლთა მსოფლიო მოძრაობის ახალ წარმატებებს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მიესალმება მასში შემავალ პროფკავშირულ ორგანიზაციებს, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომელნიც შეუერთდნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმართვას, რაც ამა წლის აპრილში გამოქვეყნდა და შეიცავდა მოწოდებას კორეაში დაზავების მიღწევისათვის ბრძოლისაკენ.

ყველა ქვეყნის მშრომელთა მისწრაფება, მშვიდობის მოძახრეთა მისწრაფება შეერთებული შტატების მონოპოლისტებისა და ლი სინ მანის აგრესიულ მისწრაფებებზე ძლიერი აღმოჩნდა.

შეერთებული შტატების მშრომელები, რომლებიც თავიანთ საწარმოებსა და პროფკავშირებში მოითხოვდნენ კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტას, აგრეთვე სხვა ქვეყნების მშრომელები ფხიზლად უნდა იყვნენ და მიაღწიონ იმას, რომ ყველა საერთაშორისო საკითხში, რომელიც ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია, მოლაპარაკების სულისკვეთებამ გაიმარჯვოს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს ყველა ქვეყნის მშრომელებს კიდევ უფრო ძლიერ განამტკიცონ თავიანთი რიგების ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში.

„ღადგა ვიეტნამში ომის შეწყვეტის ქამი!“

საფრანგეთის გაზეთების კომენტარები

პარიზი, 29 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის მეტი წილი გაზეთები, კომენტარს უკეთებენ რა კორეაში დაზავებას, უკავშირებენ მას ვიეტნამში ომის მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობის საკითხს.

მორის ფერო გაზეთ „პარი-პრეს-ენტრანსიჟანში“ წერს, რომ „ფრანგებისათვის დადგა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდგომარეობის საერთო მოწესრიგების ჟამი“. „როგორც კი მოვიდა ცნობა კორეაში დაზავების შესახებ, — ამბობს ავტორი, — ბევრმა ფრანგმა დაიწყო კითხვა, ხომ არ დადგა ინდო-ჩინეთში სამხარი მოქმედების შეწყვეტის დროო... ამ პირობებში საფრანგეთი უნდა ეცადოს მიაღწიოს საომარი მოქმედების შეწყვეტას“.

დასასრულ ფერო წერს: „31 მარტს შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის დაითქვა, რომ კორეა და ინდო-ჩინეთი ერთი და იმავე ომის ორი ფრონტია. რამდენადაც ერთ ფრონტზე ცეცხლი შეწყდა, იგი მეორეზეც უნდა შეწყდეს“.

გაზეთი „ენფორმასიონი“ შიშს გამოთქვამს, ვაი თუ კორეაში ომის შეწყვეტის შემდეგ საფრანგეთი ერთადერთი მეომარი ქვეყანა დარჩეს და ამან კიდევ უფრო გამოუთხაროს ძირი ევრობაში მის პოზიციებსო. „უკვე აღინიშნა, — წერს გაზეთი, — რომ უდიდეს სიძნელეებს, რომელიც საფრანგეთს აწვება ინდო-ჩინეთში მისი პოლიტიკის შედეგად, შეუძლია კიდევ უფრო დაასუსტოს საფრანგეთის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს. პოზიციები ყველა მოლაპარაკებაში, რომელიც მან უნდა აწარმოოს, რათა ხელი შეუშალოს უფსკრულის გადიდებას მის ფინანსებსა და ეკონომიკაში თავისი პოლიტიკის — ჯვაროსნული ლაშქრობის მარტოხელა რაინდის პოლიტიკის გამო“.

უნგრეთის მთავრობის დადგენილება გლეხებისათვის შეღავათების შესახებ

ბუდაპეშტი, 29 ივლისი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვით სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებმა უნდა აუნაზღაურონ გლეხებს ან კოოპერატივებს ხანძრით, სეტყვით ან რაიმე სხვა სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალი. ზარალი ანაზღაურებულ იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ დაზღვეულს ჯერ კიდევ მთლიანად არა აქვს გადახდილი დაზღვევის შესატანი. დადგენილება ვრცელდება იმ დაზღვეულებზეც, რომელთაც ზარალი მოუვიდათ ჯერ კიდევ ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე, მაგრამ არაუადრეს ამა წლის პირველი იანვრისა.

შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

სტოკჰოლმი, 29 ივლისი. (საკდესი). შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ტოკიოში მყოფი შვეიცარიის კონტინგენტი დაზავების პირობების განხორციელების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიისა დღეს კორეაში გაფრინდა.

ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის მოადგილის განცხადება

კაირო, 29 ივლისი. (საკდესი). როგორც ეგვიპტის ჟურნალი „ატ-ტახრირი“ იუწყება, ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰამალ ნასერმა, კომენტარი გაუკეთა რა პრესის ცნობას იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ დაარწმუნონ ეგვიპტე მიიღოს „სამხედრო, ტექნიკური და ფინანსური დახმარება“ „შუა აღმოსავლეთის თავდაცვის ორგანიზაციაში“ ეგვიპტის მონაწილეობის სამაგიეროდ, განაცხადა: „ეგვიპტე არ შეუერთდება არავითარ ახალ კავშირს“.

თბილისი

ქალაქის ქრონიკა



„ბლავმაშსბიტის“ თბილისის სპეციალიზებულმა მაღაზიამ მოსახლეობისათვის მისაყიდად მიიღო მსუბუქი კომფორტაბელური ავტომანქანები „ზიმ“. სურათზე: საქართველოს ს. მ. კრონის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი კ. ქუთათელაძე (მარჯვნივ) და ამავე ინსტიტუტის ასისტენტი რ. ფარცხალაძე მაღაზიაში ყიდულობენ „ზიმს“.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ლვოვის თეატრი თბილისის საწარმოებში

ლვოვის მუსიკალური კომედიის თეატრმა, რომელიც ამჟამად გასტროლებზე თბილისში იმყოფება, მაყურებელს აჩვენა ორი ახალი სპექტაკლი — 27 და 28 ივლისს დაიდგა ნ. სტრელნიკოვის პოპულარული ოპერეტა „შინაყმა“, ხოლო 29 ივლისს ე. ჟარკოვსკის „მეზღვაურული ნასკვი“. ორივე ოპერეტა დადგა რეჟისორმა ი. გრინშპუნმა, დაფორმება ეკუთვნის მხატვარ ლ. ფაილენბოგენს.

გარდა ფილარმონიის საზაფხულო თეატრისა, ლვოველი მსახიობები სპექტაკლებს მართავენ თბილისის ფაბრიკა-ქარხნებშიც. ამასწინად გიმართა თეატრის კოლექტივის შეხვედრა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებთან, 28 ივლისს კიროვის სახელობის ჩარხშენებელ ქარხანაში. საწარმოებში გამართულ კონცერტებში მონაწილეობას იღებენ თეატრის წამყვანი მომღერლები და ბალეტის მსახიობები.

საბჭოს ქუჩა

საბჭოს ქუჩა თბილისის ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილი მაგისტრალია. წინათ იგი მთავრდებოდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანასთან. შემდეგ მზისაგან გადამწვარი უშენი ადგილები იყო.

ამჟამად საბჭოს ქუჩა შორს გასცდა ქალაქის ძველ ფარგლებს და მდის თბილისის შამპანური ღვინოების კომბინატამდე. ქუჩის ორივე მხარეზე აღმართულია უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე აშენებული საწარმოები: ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი, პლასტმასის ქარხანა, № 7 სამკერვალო ფაბრიკა, ბამბის სართავი ფაბრიკა და კონიაკის კომბინატი. ქუჩის ორივე მხარეს ამშვენებს კეთილმოწყობილი სამ და ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლები, კინოთეატრი, კლუბები. რამდენიმე დღის წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სკოლა ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის მუშათა ბავშვებისათვის, შენდება ორი მრავალსართულიანი სახლი რკინიგზელებისათვის.

ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის დაბაში აშენდა დიდი საცხოვრებელი სახლები და კოტეჯები. მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ჩაის საწონი ფაბრიკის, კონიაკისა და შამპანური კომბინატების მუშა-მოსამსახურეთათვის.

რამდენიმე სტრიქონით

აბანოს რეკონსტრუქცია

დამთავრდა ორჯონიკიძის რაიონის № 1 აბანოს რეკონსტრუქცია. კაპიტალურად შეკეთდა საბანაო ოთახები, დაიგო ახალი იატაკი, კედლები მოპირკეთებულ იქნა თეთრი ფილებით, მოსაცდელი დარბაზი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, დაიდგა რბილი სავარძლები, სარკეები. აბანოს რეკონსტრუქციაზე 700.000 მანეთი დაიხარჯა.

აბანო მუშაობას დაიწყებს 1 აგვისტოს და საათში ერთდროულად მომსახურებას გაუწევს 171 კაცს.

ახალი სასტუმროსათვის

ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში ახალი, მრავალსართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა კომუნალურ განყოფილებას გამოუყო მიწის ნაკვეთი. სასტუმროს 250 ნომერი ექნება.

სამეცნიერო კონფერენცია

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში შედგა პროფესორთა და პედაგოგთა მორიგი VIII სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც სამი დღის განმავლობაში მოსმენილ იქნა 17 მოხსენება.

მოსკოვში, შეკრებაზე

სახელოსნო სასწავლებლების 25 კურსდამთავრებული ხუთოსანი — ახალგაზრდა ზეინკლები, ხარატები, მჭედლები, დურგლები და სხვ. — გაემგზავრა მოსკოვში სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით იქ მოწვეულ შეკრებაზე.

მხატვრული თვითმოქმედების წრეების წევრები — ახალგაზრდა მუშა სპეციალისტები მონაწილეობას მიიღებენ კონცერტებში, რომლებიც იქ გაიმართება.

საშუალებელო ლურსმანი

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ლურსმნის საამქრო ფართო მოხმარებისათვის უშვებს 72 სახის სხვადასხვა ზომის სამშენებლო ლურსმანს. 6 თვეში გამოშვებულია 921 ტონაზე მეტი ლურსმანი, ხოლო ივლისში 144,5 ტონა.

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 31 ივლისს საღამოს 8 საათზე ვოროშილოვის სახელობის საზაფხულო ბაღში (რუსთაველის პრსპ. № 2) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის ზ. სიმონიშვილის საჯარო ლექციას თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი“.

ერეკლეს-ოგლი ბ. ბოგოიავლენსკი

გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, — პერსონალური პენსიონერი სიმონ ალექსის-ძე გოგიშვილი.

ს. ა. გოგიშვილი დაიბადა 1890 წელს თბილისში, მუშა-რევოლუციონერის ოჯახში. ადრე დაიწყო რა შრომითი საქმიანობა, ს. ა. გოგიშვილი ეცნობა რევოლუციურად განწყობილ მოწინავე მუშებს, ებმება აქტიურ რევოლუციონურ მოღვაწეობაში და 1908 წელს შედის კომუნისტურ პარტიაში.

1906-1921 წლებში, იატაკქვეშეთში მუშაობის უმძიმეს პირობებში ს. ა. გოგიშვილი ავრცელებს არალეგალურ პარტიულ ლიტერატურას, ეწევა საგიტაციო მუშაობას თბილისის მუშებს შორის, მონაწილეობს საბრძოლო რაზმების შექმნაში, წარმატებით ასრულებს პარტიის ყველა დავალებას. აქტიური რევოლუციური მუშაობისათვის ს. ა. გოგიშვილმა არაერთხელ განიცადა რეპრესიები და დევნა მეფის ოხრანკისა და მენშევიკების მხრივ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს. ა. გოგიშვილი იმყოფებოდა პასუხსაგებ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზემან თავი გამოიჩინა როგორც თავმდაბალმა, ინიციატივიანმა და კომუნისტური პარტიის საქმისათვის თავდადებულმა მუშაკმა.

ს. ა. გოგიშვილის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

სასამართლოს დარბაზიდან

კომბინატორი

თავი კეთილსინდისიერ მუშაკად მოჰქონდა, სინამდვილეში კი გაქნილი კომბინატორი აღმოჩნდა. სამგორის დასახლების ტრესტის მოლარე შ. ღუღუნიშვილი. განცხრომისა და დროსტარების მოყვარულმა ტრესტში მუშაობის ექვსი თვის განმავლობაში მან რამდენიმე კომბინაციის გაკეთება მოასწრო და მრავალი ათეული ათასი მანეთი მიითვისა. იგი კვლავ მორიგი კომბინაციისათვის ემზადებოდა, მაგრამ განზრახვას მიუხედნენ, სალარო შეუმოწმეს და დიდი დანაკლისის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

კომბინატორმა შ. ღუღუნიშვილმა, ტრესტის მთავარი ბუხგალტრის დ. პატარაიას, ბუხგალტერ გ. კუძეიშვილისა და მოლარის უ. ახლელიანის სამსახურებრივი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო, გულგრილი დამოკიდებულების გამო, მოახერხა რამდენიმე ათეული ათასი მანეთი სახელმწიფო თანხის მითვისება.

შ. ღუღუნიშვილის საქმე ამ დღეებში გაარჩია თბილისის კალინინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ ა. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით.

სამსჯავრო გამოძიებით გამოირკვა, რომ ღუღუნიშვილი მარტო ეწეოდა კომბინაციას და ითვისებდა თანხებს. 1951 წელს ტრესტში მისცლისთანავე მიითვისა 100 ათასი მანეთი, მაგრამ წლის ბოლოს დანაკლისი ახალი კომბინაციით დაფარა — 1952 წლის 3 იანვარს ბანკიდან მიღებული 100 ათასი მანეთი სალაროს შემოსავალში მიღებისთანავე გაატარა, გასავალი კი წინა წლის დეკემბერში უჩვენა. ასეთი კომბინაციებით მან ტრესტში ექვსი თვის „მოღვაწეობისას“ 145.703 მანეთი მიითვისა.

სახალხო სასამართლომ გაქნილ კომბინატორს შალვა ისაიას-ძე ღუღუნიშვილს მიუსაჯა 20 წლის ვადით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. სასამართლომ მასვე დააკისრა სამგორის დასახლების ტრესტის სასარგებლოდ 145.703 მანეთის გადახდა. დანარჩენ ბრალდებულებს — უჩა აკაკის-ძე ახვლედიანს, დავით იოსების-ძე პატარაიას და გიორგი ადიკოს-ძე კუძეიშვილს, რომელთა დაუდევრობით ღუღუნიშვილმა შეძლო ბოროტმქმედება კვლის დროებით დაფარვა შეეფარდათ სასჯელის სხვადასხვა ზომა.

გ. ხენგავა.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1953-54 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელს აქვს ორი განყოფილება: 1. საკლუბო — ამზადებს კულტურის საბლების, კლუბების, სამკითხველოებისა და კულტურისა და დასვენების პარკების ხელმძღვანელებსა და მუშაკებს. 2. საბიბლიოთეკო — ამზადებს საბიბლიოთეკო დაწესებულებათა გამგეებს და ბიბლიოგრაფებს. სასწავლებელი იძლევა საშუალო განათლებას და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია.

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 14-დან 30 წლის ასაკამდე. პირველ კურსზე მიიღებიან ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლა. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებსაც 1952 და 1953 წლებში დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლა ფრიადზე. დანარჩენები აბარებენ გამოცდებს 8 კლასის პროგრამის მიცულობით, შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუცია, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), მათემატიკა (წერა, ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის იხსნება ცალკე ჯგუფები (საკლუბო განზრახვიანი წლის სწავლების ვადით. ამ ჯგუფებში უგამოცდოდ მიიღებიან რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებიდან მოვლინებით ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დამთავრეს 1952 და 1953 წლებში, ხოლო 1952 წლამდე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები გამოცდებს აბარებენ საშუალო სპეციალური სასწავლებლის პროგრამის ფარგლებში, შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის ხალხთა ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), მათემატიკა (წერა და ზეპირი) უმაღლესი მათემატიკის ელემენტების გამოკლებით.

8-წლიანი სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები და ის პირები, რომლებიც მიაღწევ გამოცდებს ჩაბარებენ 4 და 5 ნიშნებით, უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, ხოლო იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ბინა არა აქვთ, სასწავლებელი ნაწილობრივ აუნაზღაურებს მის ქირას.

განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით. განცხადებას თან უნდა დაერთოს: მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა (ნოტარიალური წესით დამოწმებული ასლი), სამი ფოტოსურათი, სამხედროვალდებულნი სამხედრო ბილეთს ან მისაწერ მოწმობას წარმოადგენენ პირადად, ცნობა ჯანმრთელობისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადებები მიიღება და ცნობები გაიცემა ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, დილის 9 საათიდან 5 საათამდე.

მისამართი: ქალაქი ქუთაისი. ტელმანის ქუჩა № 19. ტელ. 10-84.

თბილისის შამპანურის ქარხანას ესაჭიროება:

მთავარი მექანიკოსი — 1, **ინჟინერ-მექანიკოსები** — 2. მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით.

მისამართი: ავჭალის გზატკეცილი. ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფ. № 3-64-01.

მეუღლე მარიამ, შვილები ვარლამ, ვასილ, თინა, რძლები ვალია, ვერა, შვილიშვილები ლაურა, დარეჯან, დები კატო, პატკულია, სიძეები შ. ჩითინაშვილი, მ. ქათამაძე იუწყებიან **ანტონ ვასილის-ძე შენგელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VIII სოფ. ჭაგანში (სამტრედიის რ.).

შვილი კონსტანტინე, რძალი მარო, შვილიშვილები აზა, ბუთხუზი ფარცხალაძეები, სიძე გ. მეტრეველი იუწყებიან **დესპინე ივანეს ასულ ფარცხალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-VII, 1-VIII, 8 ს. გამოსვენება 2-VIII, 5 ს. ფალიაშვილის შესახვევი № 34.

შვილი მარგო, სიძე ანდრო ჯღარკავები იუწყებიან **ივლიტა იოსების ასულ გაბრიჩიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VIII, ქ. ტყიბულში. გამოსვენება მახარაძის ქ. № 13.

მეუღლე სოფიო, შვილები ბარბარე, მერი, სიძე გ. ცაბაძე, შვილიშვილები დალი, მარინე ცაბაძეები, თინა ამაშუკელი იუწყებიან **გიორგი ზაქარიას-ძე ანდრონიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-VIII, 8 ს. გამოსვენება 2-VIII, 3 ს. ძერჟინსკის ქ. № 14.

დები თამარ მდივანი, ბარბარე მეხმანდაროვა, ალისა გამრეკელი, ძმა მიხეილ, რძლები ელენე, ლილა ქიქოძეები ოჯახებით იუწყებიან **ნინო მოსეს ასულ ქიქოძე-აბრამოვიჩის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-VII, 8 ს. გამოსვენება 1-VIII, 6 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 39.

საქართველოს სს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **ანტონ ვასილის-ძე შენგელიას** გარდაცვალებას.

მეუღლე ვერა, შვილები შოთა, ელგუჯა, ქეთინო, ნუნუ, და ივლტა, ძმა სევერიანე იუწყებიან **გედევან ზოსიმეს-ძე ხაგანელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-VIII, 7 ს. გამოსვენება 2-VIII, 5 ს. ორჯონიკიძის ქ. № 36.

მეუღლე ფაცა, სიმამრი ნესტორ, ცოლისძმები შალიკო, კაკო ოჯახით ჭითავები, და ზინა, სიძე შალვა ჩიკვინიძეები იუწყებიან **გიორგი ბესარიონის-ძე ხანაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VIII 5 ს. დიდუხიანშში.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04345 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.